

TIBR ინდექსების გაანგარიშების წესი

[თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესი (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №291/04 - ვებგვერდი, 23.12.2025 წ.

მუხლი 1. ინდექსების აღწერა

1. TIBR ინდექსების გაანგარიშების წესი (შემდგომში – წესი) აღწერს TIBR ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილე კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებს (შემდგომში - ბანკები) შორის ფულად ბაზარზე დადებული გარიგებების კრიტერიუმებს, ასევე TIBR ინდექსების გაანგარიშების, გამოქვეყნებისა და სხვა პროცედურულ საკითხებს.

[1. თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესი (შემდგომში – წესი) აღწერს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (შემდგომში – TIBR განაკვეთი/TIBR) გაანგარიშებაში მონაწილე კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებს (შემდგომში – ბანკები) შორის ფულად ბაზარზე დადებული გარიგებების კრიტერიუმებს, ასევე TIBR ინდექსების გაანგარიშების, გამოქვეყნებისა და სხვა პროცედურულ საკითხებს.

2. საქართველოს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე მოქმედი ლარის საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე განისაზღვრება საქართველოს ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის TIBR ინდექსები, რომელიც არის ლარის ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ამსახველი ინდიკატური მაჩვენებელი და მასში შედის:

ა) თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR განაკვეთი;

ბ) თბილისის ბანკთაშორისი ვადიანი საპროცენტო განაკვეთი – TIBR ვადიანი განაკვეთი;

გ) თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ნაზარდი ინდექსი – TIBR ნაზარდი ინდექსი.

3. TIBR განაკვეთი (TIBR) არის საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის (შემდგომში – ბანკთაშორისი) ეროვნული ვალუტით გაცემული ერთდღიანი არაუზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

[3. TIBR განაკვეთი არის ურისკო ბენჩმარკ საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის (შემდგომში – ბანკთაშორისი) ეროვნული ვალუტით ამ წესის შესაბამისი პირობებით დადებული გარიგებების მოცულობის 80%-ის საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს.

3¹. TIBR განაკვეთი არის მინიმალური საკრედიტო, ლიკვიდობისა და სხვა სახის რისკების პირობებში ბანკთაშორისი ფულადი სახსრების სესხებისა და გასესხების საპროცენტო განაკვეთის საზომი და საფინანსო ბაზარზე გამოიყენება, როგორც ლარში დენომინირებული ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტის საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი. (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

4. TIBR ვადიანი განაკვეთი (TIBR Term Rate) არის TIBR განაკვეთის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ე.წ. ისტორიული დარიცხვის მეთოდის (BACKWARD LOOKING TERM RATE COMPOUNDING) გამოყენებით დათვლილი განაკვეთი.

5. TIBR ნაზარდი ინდექსი (TIBR Index) არის დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდით გაანგარიშებული TIBR საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი.

[6. TIBR განაკვეთი და TIBR ვადიანი განაკვეთი არის წლიური საპროცენტო განაკვეთი (ACT/365 კონვენციით) მძიმის შემდეგ ოთხი ციფრის სიზუსტით. (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №214/04 - ვებგვერდი, 07.08.2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №291/04 - ვებგვერდი, 23.12.2025 წ.

მუხლი 2. TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში მონაწილე ბანკთაშორისი გარიგებები

1. თითოეული საბანკო დღის TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში შედის იმავე საბანკო დღეს დადებული ისეთი ბანკთაშორისი გარიგებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

- ა) ბანკთაშორისი გარიგებები დადებულია ერთდღიანი სესხის ან/და ერთდღიანი დეპოზიტის ფორმით;
- ბ) ბანკთაშორისი გარიგებები დადებულია ეროვნული ვალუტით;
- გ) ბანკთაშორისი გარიგებები არ არის უზრუნველყოფილი რაიმე სახის აქტივით;
- დ) ბანკთაშორისი გარიგებები დადებულია ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში;
- ე) ბანკთაშორისი გარიგებები დადებულია იმავე დღის ანგარიშსწორებით;
- ვ) ბანკთაშორისი გარიგებები დადებულია და მისი ანგარიშსწორება გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის საოპერაციო საათების განმავლობაში, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია ამავე სისტემის წესებით.

2. TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ბანკთაშორისი ე.წ. სადეპოზიტო სვოპ გარიგებები (ორ მხარეს შორის ორი დეპოზიტის ურთიერთგაცვლა ორ ვალუტაში). სადეპოზიტო სვოპ გარიგების დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ბანკის ხაზინის სამსახურიდან გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №214/04 - ვებგვერდი, 07.08.2023 წ.

მუხლი 3. TIBR განაკვეთის გაანგარიშება

1. ყოველ საბანკო დღეს ეროვნული ბანკი ბლუმბერგის სისტემის FXTB<GO> გვერდიდან იღებს მიმდინარე საბანკო დღის განმავლობაში დადებულ ბანკთაშორის გარიგებებს.

2. მიღებული ბანკთაშორისი გარიგებებიდან TIBR განაკვეთის გაანგარიშების მიზნისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ წესის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი გარიგებები.

3. TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში მონაწილე ბანკთაშორისი გარიგებებიდან ეროვნული ბანკი ახდენს TIBR განაკვეთის გაანგარიშებას შემდეგნაირად:

- ა) მიმდინარე საბანკო დღეს განხორციელებული გარიგებების თანმიმდევრობა განისაზღვრება ბანკთაშორისი გარიგებაში ასახული საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით;

ბ) საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით დალაგებული ბანკთაშორისი გარიგებების საერთო რაოდენობას აკლდება ზედა 15%-ის და ქვედა 15%-ის შესაბამისი რაოდენობის ბანკთაშორისი გარიგებები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში. თუ გარიგებების საერთო რაოდენობის 15% არ არის მთლიანი ციფრი, მაშინ ხდება მიღებული რაოდენობის დამრგვალება უახლოეს მთელ მაჩვენებლამდე;

[ბ) საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით დალაგებული ბანკთაშორისი გარიგებების ჯამურ მოცულობას აკლდება ზედა გარიგებები ან/და მათი ნაწილი და ქვედა გარიგებები ან/და მათი ნაწილი, რომელთა მოცულობაც შეესაბამება ბანკთაშორისი გარიგებების ჯამური მოცულობის 10%-10%-ს. ეს გარიგებები არ იღებს მონაწილეობას TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში. (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

გ) TIBR განაკვეთის გაანგარიშება ხდება დარჩენილი გარიგებების საშუალო შეწონილი მაჩვენებლით;

დ) საშუალო შეწონილი პროცენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TIBR = \sum_i^n Ri \frac{Vi}{V}$$

სადაც:

V_i – არის დადებული გარიგების მოცულობა;

R_i – არის მოცემულ გარიგებაზე დაფიქსირებულ წლიურ საპროცენტო განაკვეთი;

$V = \sum V_i$ – არის დღის განმავლობაში დადებული გარიგებების მთლიანი მოცულობა.

[დ) TIBR განაკვეთის საშუალო შეწონილი პროცენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TIBR = \frac{\sum_{i=1}^n v_i * r_i}{\sum_{i=1}^n v_i}$$

სადაც:

v_i – არის ერთნაირი საპროცენტო განაკვეთის მქონე r_i გარიგებების კუმულატიური მოცულობა;

r_i – არის გარიგებაზე დაფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი;

n – არის გარიგებებში სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების რაოდენობა. (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

ე) გაანგარიშებული TIBR განაკვეთი იქნება წლიური საპროცენტო განაკვეთი (ACT/365 კონვენციით) მძიმის შემდეგ ორი ციფრის სიზუსტით.

[ე) (ამოღებულია - 22.12.2025, №291/04); (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

მუხლი 4. TIBR ვადიანი განაკვეთის გაანგარიშება

TIBR ვადიანი განაკვეთის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$\left[\prod_{i=1}^{d_0} \left(1 + \frac{TIBR \times n_i}{365} \right) - 1 \right] \times \frac{365}{d}$$

სადაც:

d – არის კალენდარული დღეების რაოდენობა შესაბამის საპროცენტო პერიოდში;

d_0 – არის საბანკო დღეების რაოდენობა შესაბამის საპროცენტო პერიოდში;

i – არის მთლიანი რიცხვები ერთიდან d_0 -მდე, რომელთაგანაც თითოეული არის შესაბამისი საბანკო დღეები ქრონოლოგიურად შესაბამისი საპროცენტო პერიოდის პირველი დღიდან და მის ჩათვლით;

n_i – ნებისმიერი "i" დღისთვის ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას ასეთი "i" დღიდან და მისი ჩათვლით შემდგომ საბანკო დღემდე.

მუხლი 5. TIBR ნაზარდი ინდექსის და TIBR ნაზარდი საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება

1. TIBR ნაზარდი ინდექსის გაანგარიშება ხდება TIBR განაკვეთის საფუძველზე.

2. TIBR ნაზარდი ინდექსი არის დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ რთული პროცენტის დარიცხვის მეთოდით გაანგარიშებული TIBR განაკვეთის მაჩვენებელი, რომლის საწყისი მაჩვენებელი არის 100. საწყის მაჩვენებლად აღებულია TIBR განაკვეთი 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, როდესაც ეროვნულმა ბანკმა დაიწყო განახლებული TIBR განაკვეთის გამოქვეყნება.

3. TIBR ნაზარდი ინდექსი ასახავს თითოეულ სამუშაო დღეზე რთული პროცენტის დარიცხვის გავლენას TIBR განაკვეთზე და საშუალებას იძლევა გარკვეულ პერიოდზე სტანდარტულად და მარტივად იქნას გამოთვლილი TIBR განაკვეთზე რთული პროცენტის დარიცხვის შედეგი.

4. TIBR ნაზარდი ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$TIBR CI_i = TIBR CI_{i-1} \times \left(1 + \frac{TIBR_{i-1} \times d_{i-1}}{365} \right)$$

სადაც:

$TIBR CI_i$ არის TIBR ნაზარდი ინდექსი i სამუშაო დღისათვის, გამოქვეყნებული i სამუშაო დღეს, მძიმის შემდეგ რვა ციფრის სიზუსტით;

$TIBR CI_{i-1}$ არის TIBR ნაზარდი ინდექსი $i - 1$ სამუშაო დღისათვის, გამოქვეყნებული $i-1$ სამუშაო დღეს, მძიმის შემდეგ რვა ციფრის სიზუსტით;

$TIBR_{i-1}$ არის TIBR განაკვეთი $i - 1$ სამუშაო დღისთვის და გამოქვეყნებული i სამუშაო დღეს;

d_{i-1} არის კალენდარული დღეების რაოდენობა $i - 1$ სამუშაო დღიდან i სამუშაო დღემდე, რომლის განმავლობაშიც ვრცელდება $TIBR_{i-1}$.

5. ნებისმიერი საანგარიშო პერიოდის TIBR ნაზარდი საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ამ პერიოდის საწყის და ბოლო თარიღებზე TIBR ნაზარდი ინდექსის მნიშვნელობების გამოყენებით შემდეგი ფორმულით:

$$TIBR\ CR_{Period} = \left[\frac{TIBR\ CI_{End\ date}}{TIBR\ CI_{Start\ date}} - 1 \right] \times \frac{365}{T}$$

სადაც:

TIBR CR_{Period} არის საანგარიშო პერიოდის TIBR ნაზარდი საპროცენტო განაკვეთი, მძიმის შემდეგ ოთხი ციფრის სიზუსტით;

TIBR CI_{End date} არის საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის TIBR ნაზარდი ინდექსი;

TIBR CI_{Start date} არის საანგარიშო პერიოდის საწყისი დღის TIBR ნაზარდი ინდექსი;

T არის დღეების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში.

მუხლი 6. TIBR განაკვეთის გაანგარიშების სარეზერვო გეგმა

1. თუ საანგარიშო დღის განმავლობაში TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში მონაწილე გარიგებების საერთო რაოდენობა 5-ზე ნაკლებია ან/და დაშვებული გარიგებების მთლიანი მოცულობა 20 მილიონ ლარზე ნაკლებია, TIBR განაკვეთის გაანგარიშებას ეროვნული ბანკი ახორციელებს სარეზერვო გეგმის მიხედვით.

2. პირველი სარეზერვო გეგმის შესაბამისად, TIBR განაკვეთი გაიანგარიშება ბლუმბერგის სისტემაში ბანკების მიერ გამოქვეყნებული ბანკთაშორისი სესხების BID/ASK საპროცენტო განაკვეთებიდან შემდეგნაირად:

ა) მხედველობაში მიიღება ბანკების მიერ ბლუმბერგის სისტემის GEDR1T Crncy <GO> გვერდზე, იმავე დღის 17:00 საათიდან 18:00 საათამდე განახლებული ბანკთაშორისი სესხების BID/ASK საპროცენტო განაკვეთები;

ბ) ყველა BID განაკვეთის თანმიმდევრობა განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით, რომელთაგან 2 უმცირესი და 2 უდიდესი საპროცენტო განაკვეთი არ მიიღება მხედველობაში, ხოლო დარჩენილი საპროცენტო განაკვეთებიდან გაიანგარიშება საშუალო განაკვეთი და ჩაითვლება როგორც საშუალო BID განაკვეთი;

გ) ყველა ASK განაკვეთის თანმიმდევრობა განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით, რომელთაგან 2 უმცირესი და 2 უდიდესი საპროცენტო განაკვეთი არ მიიღება მხედველობაში, ხოლო დარჩენილი განაკვეთებიდან გაიანგარიშება საშუალო განაკვეთი და ჩაითვლება როგორც საშუალო ASK განაკვეთი;

დ) საშუალო BID განაკვეთიდან და საშუალო ASK განაკვეთიდან გაიანგარიშება არითმეტიკული საშუალო მონაცემი, რომელიც არის საანგარიშო დღის TIBR განაკვეთი და ხდება მისი გამოქვეყნება

3. თუ ბლუმბერგის სისტემის GEDR1T Crncy <GO> გვერდზე საანგარიშო დღის 17:00 საათიდან 18:00 საათამდე განახლებული ბანკთაშორისი სესხების BID/ASK განაკვეთების რაოდენობა იქნება 5-ზე ნაკლები, მაშინ ეროვნული ბანკი იყენებს მეორე სარეზერვო გეგმას.

4. მეორე სარეზერვო გეგმის მიხედვით, TIBR განაკვეთი გაიანგარიშება, როგორც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს დამატებული წინა სამი საანგარიშო დღის TIBR განაკვეთის ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან სხვაობის საშუალო განაკვეთი.

მუხლი 6. TIBR განაკვეთის გაანგარიშების სარეზერვო გეგმა

1. თუ საანგარიშო დღის განმავლობაში TIBR განაკვეთის გაანგარიშებაში მონაწილე გარიგებების საერთო რაოდენობა 5-ზე ნაკლებია ან/და დაშვებული გარიგებების მთლიანი მოცულობა 50 (ორმოცდაათ) მილიონ ლარზე ნაკლებია, TIBR განაკვეთის გაანგარიშებას ეროვნული ბანკი ახორციელებს პირველი სარეზერვო გეგმის მიხედვით.

2. პირველი სარეზერვო გეგმის მიხედვით, TIBR განაკვეთის საშუალო შეწონილი პროცენტი გაიანგარიშება ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად და გაითვალისწინება შემდეგი მონაცემები:

ა) ამ წესის მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისი გარიგებები;

ბ) TIBR განაკვეთის გაანგარიშების დღეს გამოყენებული ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის ჯამურ მოცულობასა და ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტის ჯამურ მოცულობას შორის უდიდესი მოცულობის 10%, რომლის საპროცენტო განაკვეთად გამოიყენება შემდეგნაირად გაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთი:

ბ.ა) ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის მოცულობის გამოყენების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის საპროცენტო განაკვეთს გამოკლებული ბოლო 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში ყოველდღიურ TIBR განაკვეთსა და ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობების საშუალო მაჩვენებელი;

ბ.ბ) ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტის მოცულობის გამოყენების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს დამატებული ბოლო 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში ყოველდღიურ TIBR განაკვეთსა და ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობების საშუალო მაჩვენებელი.

3. თუ პირველი სარეზერვო გეგმის მიხედვით გაანგარიშებული გარიგებების ჯამური მოცულობა არის 50 (ორმოცდაათ) მილიონ ლარზე ნაკლები, მაშინ ეროვნული ბანკი იყენებს მეორე სარეზერვო გეგმას.

4. მეორე სარეზერვო გეგმის მიხედვით, TIBR განაკვეთი გაიანგარიშება, როგორც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს დამატებული წინა 5 (ხუთი) საბანკო დღის TIBR განაკვეთისა და ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობის საშუალო განაკვეთი.

5. თუ TIBR განაკვეთის გაანგარიშება მეორე სარეზერვო გეგმის მიხედვით მიყოლებით გრძელდება 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში, მაშინ TIBR განაკვეთი არის ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.

6. სარეზერვო გეგმის გამოყენების ფაქტი აისახება ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის სტატისტიკური მონაცემების გვერდზე განთავსებულ თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ექსელის ფაილში.

7. სარეზერვო გეგმა გამოიყენება მოკლევადიანი პერიოდისთვის, ხოლო მისი გრძელვადიანი პერიოდით გამოყენების შემთხვევაში ეროვნული ბანკი მოქმედებს ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად. **(ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან).**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №214/04 - ვებგვერდი, 07.08.2023 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №291/04 - ვებგვერდი, 23.12.2025 წ.

მუხლი 7. TIBR ინდექსების გამოქვეყნება

1. ყოველ საბანკო დღეს, არაუგვიანეს დღის 9:00 საათისა, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს:

[1. ყოველ საბანკო დღეს, არაუგვიანეს დღის 10:00 საათისა, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს:

(ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)].

ა) გაანგარიშებული წინა საბანკო დღის TIBR ინდექსების გამოქვეყნებას ბლუმბერგის სისტემაში NBGB<GO> გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ბლუმბერგის სისტემის ტერმინალის ყველა მომხმარებლისთვის;

ბ) გაანგარიშებული წინა საბანკო დღის TIBR ინდექსების გამოქვეყნებას ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

2. გამოქვეყნების შემდეგ TIBR ინდექსები საბოლოოა და მასში ცვლილების შეტანა არ ხორციელდება.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ TIBR ინდექსების გაანგარიშებაში აღმოჩნდა ისეთი შეცდომა, რომლის მიხედვით გაანგარიშებული და გამოქვეყნებული TIBR ინდექსების ხელახლა დათვლილი მონაცემი 0,03 პროცენტული პუნქტით განსახვავდება გამოქვეყნებულ TIBR ინდექსების მონაცემებისგან, ეროვნული ბანკი იმავე დღეს ახდენს TIBR ინდექსების გასწორებას და ხელახლა გამოქვეყნებას. ასეთ შემთხვევაში, გასწორებული TIBR ინდექსები ქვეყნდება მხოლოდ ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღის 10:00 საათამდე „კორექტირებული“ სტატუსის აღნიშვნით.

4. თუ TIBR ინდექსების გამოთვლა შეუძლებელია ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო, შესაძლებელია TIBR ინდექსების გაანგარიშება და გამოქვეყნება განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღის 10:00 საათამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №291/04 - ვებგვერდი, 23.12.2025 წ.

მუხლი 8. TIBR ინდექსების აუდიტი და გაანგარიშების წესის ცვლილება

1. წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახური ამოწმებს TIBR ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების პროცესის სისწორეს მის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

2. ეროვნული ბანკი წელიწადში ერთხელ ახორციელებს TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის შედარებას და ანალიზს ბაზრის არსებულ კონიუნქტურასთან.

3. თუ ეროვნული ბანკი გადაწყვეტს, რომ არსებული წესი ვეღარ აკმაყოფილებს ან/და აღარ შეესაბამება ბაზრის რეალობასა და ბაზრის მოთხოვნებს, მაშინ ეროვნული ბანკი ახორციელებს არსებული წესის ცვლილებას ბანკთაშორისი ბაზრის სხვა მონაწილეებთან კონსულტაციების ჩატარების შემდგომ.